თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 4

ქ.თელავი 23. 05. 2022 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან ბერძენაშვილი** ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ზურაბ ლილუაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, ანა ოთარაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ბაადურ გულიაშვილი, იმედა კევლიშვილი, გიგი გიგიტელაშვილი.**

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **მამუკა ბურდიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ქეთევან ილაშვილი,** მოქალაქე **მაკა მოსიაშვილი.**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოქალაქე ლევან ახალმოსულიშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

მომხს:ლ. ბერძენაშვილი

2. ქალაქ თელავის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

მომხს:ლ. ბერძენაშვილი

3. ქალაქ თელავის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

მომხს: ლ. ბერძენაშვილი

4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

მომხს. ლ. ბერძენაშვილი

5. კომისიის წევრის ბაადურ გულიაშვილის ინიცირებული საკითხი, რომელიც ეხება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების მიმდინარეობისას პროცედურულ დარღვევებს, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის საკითხს და სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ წლის სამუშაო გეგმის შემუშავებას.

მომხს.ბ.გულიაშვილი

6. კომისიის წევრის გიგი გიგიტელაშვილის ინიცირებული საკითხი, რომელიც გულისხმობს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ქცევის წესის (ეთიკის ნორმები) შემუშავებას პოლიტიკური თანამდებობის პირების მიმართ.

მომხს.გ.გიგიტელაშვილი

7. საკრებულოს წევრის იმედა კევლიშვილის მიერ ინიცირებული საკითხი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.

მომხს.ი.კევლიშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოქალაქე ლევან ახალმოსულიშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა **ლ. ბერძენაშვილმა** პროექტთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება, რომ გასული წლების განმავლობაში მოქალაქე ლევან ახალმოსულიშვილს აღნიშნული ქონება გადაცემული ქონდა 1200 ლარად (წლიური იჯარის საფასური). მერიის მიერ ამჟამად წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, წლიური საფასური იზრდება 4-ჯერ 4800 ლარამდე, რაც მისაღებია და პროექტს მხარს უჭერს. საკითხს დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრებიც **თ.ხანჯალიაშვილი, ი.კევლიშვილი, გ.გიგიტელაშვილი, ზ.გულიაშვილი** და აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტი ვალდებულია ხელი შეუწყოს კერძო ბიზნესის განვითარებას მითუმეტეს, რომ ლ.ახალმოსულიშვილი წლებია უკვე ამ ტერიტორიაზე ეწევა ამ საქმიანობას და მისი ხელშეშლა მიზანშეუწონელია, ამასთან წლიური ქირაც დამაკმაყოფილებელი, განსხვავებით მერიის მიერ აპრილის თვეში ინიცირებული პროექტისგან, სადაც წლიური საიჯარო ქირა განსაზღვრული იყო 3000 ლარით.

გადაწყვიტეს: საკითხი წარედგინოს ბიუროს დადებითი რეკომენდაციით, საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხაში შესატანად.

მოისმინეს: 2. ქალაქ თელავის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა **ლ. ბერძენაშვილმა** პროექტთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დადგენა ხდება მხოლოდ ქალაქ თელავის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რაც პროექტის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს და მიზანშეწონილი იქნება სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებთანაც დადგინდეს მარშრუტები. წარმოდგენილ პროექტში მარშრუტების დამატებას დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრებიც და აღნიშნეს, რომ მომავალში სხვა მარშრუტების დამატებაზეც დადებით ეფექტს მოახდენს, რაც

მოსახლეობის შიდა სამგზავრო გადაყვანის განვითარებას ხელს შეუწყობს.

**გადაწყვიტეს:** საკითხი წარედგინოს ბიუროს გადაწყვეტილების მისაღებად.

**მოისმინეს:** **3.** ქალაქ თელავის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

**აზრი გამოთქვეს:** მომხსენებელმა **ლ. ბერძენაშვილმა** პროექტთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქ.თელავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრობის ტარიფი განსაზღვრულია 1 ლარის ოდენობით, ხოლო შეღავათების გავრცელება ხდება ბევრ მოწყვლად ჯგუფებზე და სხვა ადამიანთა კატეგორიებზე. მერიის მიერ ინიცირებული ახალი პროექტის მიხედვით შეღავათები აღარ ვრცელდება საჯარო სკოლის პედაგოგებზე და ააიპ თელავის მუნუციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების თანამშრომლებზე, მათ ნაცვლად შეღავათებით ისარგებლებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უმაღლესი სასწავლებლების და პროფესიული კოლეჯის სტუდენტები. მგზავრობის ტარიფთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა კომისიის წევრმა **გიგი გიგიტელაშვილმა,** რომელმაც განაცხადა, რომ მიუხედავად მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა იგი ეთანხმება მგზავრობის ტარიფი განისაზღვროს 1 ლარის ოდენობით თუ მომსახურება იქნება მაღალი სერვისით. **ლევან ბერძენაშვილმა** დააფიქსირა აზრი, რომ სამომავლოდ მიზანშეწონილი იქნება დაინერგოს შეღავათიანი დროებითი საბარათე სისტემა, რომლითაც შეღავათი მიეცემათ მოქალაქეებს რომლებიც ხშირად გადაადგილდებიან ავტობუსით, რომ იმგზავრონ დაბალი ტარიფით. კომისიის სხვა წევრებმა გამოთქვეს აზრი, რომ პროექტში შეიძლება ტარიფთან და შეღავათებთან მიმართებაში იყოს ხარვეზები, მაგრამ დროთა განმავლობაში ცვლილება შევა ნორმატიულ აქტში და დაიხვეწება, ამ ეტაპზე კი მიზანშეწონილი იქნება, რომ პროექტს მხარი დაეჭიროს რათა თელავის მუნიციპალიტეტის ააიპ სატრანსპორტო სამსახურმა დაიწყოს გამართული ფუნქციონირება და გაწეული მომსახურების ხარჯების ამოღება.

გადაწყვიტეს: საკითხი წარედგინოს ბიუროს დადებითი რეკომენდაციით, საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხაში შესატანად.

მოისმინეს: 4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა ლ. ბერძენაშვილმა პროექტთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება, რომ წარმოდგენილი პროექტი დამატებით იქნა შესწავლილი და სამართლებრივი ხასიათის ხარვეზს არ ატარებს, რის გამოც მიზანშეწონილი იქნება საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს დადებითი რეკომენდაციით. აღნიშნულზე კომისიის სხვა წევრებმა განაცხადეს თანხმობა.

გადაწყვიტეს: საკითხი წარედგინოს ბიუროს დადებითი რეკომენდაციით, საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხაში შესატანად.

მოისმინეს 5. კომისიის წევრის ზაადურ გულიაშვილის მიერ ინიცირებული, დღის წესრიგში დამატებული საკითხი, რომელიც ეხებოდა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების მიმდინარეობისას პროცედურულ დარღვევებს და მათ არ ასახვას საკრებულოს სხდომის ოქმებში, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის საკითხს და სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ წლიური სამუშაო გეგმის შემუშავებას.

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა ზაადურ გულიაშვილმა, მის მიერ დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით წარმოადგინა წერილობითი არგუმენტაცია 4 თაბახის ფურცლად და განმარტა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის სხდომის მიმდინარეობისას ერთ-ერთ საკითხად იხილებოდა შპს საქართველოს ფოსტისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარით გადაცემის საკითხი, რაზედაც გამოთქვა კრიტიკული აზრი.

**ზ.გულიაშვილის** განმარტებით მის გამოთქმულ აზრს საკრებულოს თავმჯდომარის მხრიდან გაუკეთდა კომენტარი და შეფასება, რაც მისი აზრით წარმოადგენს უხეშ პროცედურულ დარღვევას და მოითხოვა რეაგირება კომისიის მხრიდან ამ ფაქტის შეფასებისათვის. აგრეთვე, **ზ.გულიაშვილმა** განმარტა, რომ შეისწავლა საკრებულოს სხდომის ოქმები და აღმოაჩინა, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს სხდომის დროს მომხდარი დარღვევების არ დაფიქსირებას ოქმში და ხშირად ოქმებში ფიქსირდება შინაარსობრივი სხვაობები. აღნიშნულ ფაქტზე მოითხოვა, რომ კომისიამ მისცეს შეფასება საკრებულოს აპარატის ამ ქმედებას. აგრეთვე **ზ.გულიაშვილმა** დააყენა საკითხი, რომ აუცილებელია თელავის მუნიციპალიტეტის მოქმედ რეგლამენტში, კერძოდ 110-ე მუხლში შევიდეს ცვლილება და ერთ-ერთ პუნქტად დაემატოს ჩანაწერი „სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებები", რათა სხდომის ოქმის ჩანაწერი გახდეს უფრო სრულყოფილი. აგრეთვე **ზ.გულიაშვილის** მიერ დაყენებული იქნას საკითხი, რომ სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, კომისიის წლიური გეგმის შედგენის მიზნით. წამოყენებულ საკითხებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა **ლ.ბერძენაშვილმა,** რომელმაც განმარტა, რომ დამატებით საკითხად **ზ.გულიაშვილის** მიერ კომისიის წინაშე დაყენებული საკითხები მოითხოვს კომისიის წევრების მხრიდან არგუმენტირებულად შესწავლას და გაანალიზებას, რის გამოც მიზანშეწონილი იქნება კომისიამ უახლოეს სამუშაო სხდომამდე შეისწავლოს ეს საკითხი და ისე განიხილოს დაყენებული საკითხები. რაც შეეხება კომისიის სამუშაო გეგმას, იგი შემუშავებული და დამტკიცებულია კომისიის მიერ 2021 წლის დეკემბრის თვეში, რომელიც წარდგენილია საკრებულოს ბიუროს წინაშე დასამტკიცებლად. კომისიის წევრმა **ზ.ლილუაშვილმა** გააკეთა განმარტება, რომ 2022 წლის 28 აპრილის საკრებულოს სხდომის მიმდინარეობისას საკრებულოს თავმჯდომარის მხრიდან ადგილი არ ქონია პროცედურულ დარღვევას და **ზ.გულიაშვილის** აზრს არ ეთანხმება. იგივე პოზიცია დააფიქსირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრმა **მ.ბურდიაშვილმა,** რომელმაც ითხოვა **ზ.გულიაშვილის** მიერ სხდომაზე წარმოდგენილი აუდიო ჩანაწერის მოსმენა, რომელიც ცუდი ხარისხის გამო ვერ იქნა შესწავლილი.

საბოლოოდ კომისიის წევრები შეჯერდნენ საკითხების მომდევნო კომისიის სხდომაზე განხილვაზე.

**გადაწყვიტეს:** კომისიის წევრის **ზ.გულიაშვილის** მიერ დაყენებული საკითხები შესწავლილი და გაანალიზებული იქნას დეტალურად და მათი განხილვა მოხდეს კომისიის მომდევნო სამუშაო სხდომაზე.

**მოისმინეს 6.** კომისიის წევრის გიგი გიგიტელაშვილის მიერ დასმული საკითხი, რომელიც შეეხება ქცევის წესების (ეთიკის ნორმები) შემუშავებას საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების მიმართ.

**აზრი გამოთქვეს:** მომხსენებელმა **გ. გიგიტელაშვილმა** გააკეთა განმარტება, რომ საჭიროა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისათვის შემუშავებული იქნას ქცევის წესი (ეთიკის ნორმა) რათა მათი ქმედებები მოექცეს რეგულირების ფარგლებში. კომისიის თავმჯდომარემ **ლ.ბერძენაშვილმა** განმარტა, რომ საკითხის განხილვისათვის აუცილებელია სამართლებრივი აქტის პროექტის და სხვა სამართლებრივი არგუმენტაციის წარმოდგენა, რადგან ზეპირსიტყვიერად საკითხის განხილვა შეუძლებელია. **ლ.ბერძენაშვილის** ამ განმარტებას დაეთანხმნენ **გ.გიგიტელაშვილი** და კომისიის სხვა წევრები.

**გადაწყვიტეს:** მიეცეს წინადადება კომისიის წევრს **გიგი გიგიტელაშვილს,** რათა მან წარმოადგინოს კომისიის წინაშე სამართლებრივი აქტის პროექტი და დასაბუთება მისი განხილვის სამართლებრივ კუთხით მიზანშეწონილობაზე.

**მოისმინეს 7.** საკრებულოს წევრის იმედა კევლიშვილის მიერ დასმული საკითხი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებთან მიმართებაში მის მიერ ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.

**აზრი გამოთქვეს:** მომხსენებელმა **იმედა კევლიშვილმა** გააკეთა განმარტება, რომ დაახლოვებით 2.5 თვის უკან მიმართა წერილობით მერიას და მოითხოვა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც დღემდე არ მიუღია და მოითხოვა რეაგირება. კომისიის თავმჯდომარე **ლ.ბერძენაშვილმა** გამოთქვა აზრი, რომ თუ ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი იყო ზოგადად მიუღებელი და გაერკვეოდა ვითარებაში.

გადაწყვიტეს: განხორციელდეს რეაგირება და მერიასთან მჭიდრო კომუნიკაციით მოხდეს **ი.კევლიშვილისათვის** მის მიერ მოთხოვილი ინფორმაციის გადაცემა.

კომისიის თავმჯდომარე ლევან ბერძენაშვილი